PDF Eraser Free

დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონი“

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნაზო წიბლიაშვილი

წევრი: ქეთევან ღვანიძე

(თბილისი, 2021 წელი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონი“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 24 თებერვლის N158672 ბრძანებით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს (ჯგუფის თავმჯდომარე ნაზო წიბლიაშვილი-პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი, ჯგუფის წევრი ქეთევან ღვანიძე -პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი) შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონის“ განაცხადის (რეგისტრაციის N114950; განხორციელების ადგილი ქ.თბილისი; დ.ბაქრაძის ქ.N6) საფუძველზე დაევალა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, „სკოლამდელი აღზრდის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით დაწესებულებამ გადმოგზავნა პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება, ამონაწერები საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებიდან, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დასაბუთება, საგანმანათლებლო პროგრამა დანართებით: მოდულები, სასწავლო გეგმა, განმახორციელებელი პირები, პროგრამის მატერიალური რესურსი. წარმოდგენილია ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან.

სტანდარტთან შესაბამისობის დადგენის მიზნით დაწესებულებიდან დამატებით გამოთხოვილი იქნა პროგრამისთვის განკუთვნილი მატერიალური რესურსის ფლობის, პროფესიულ მასწავლებელთა კვალიფიკაციის, პროგრამის ხელმძღვანელის დარგობრივი კომპენტენციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

2021 წ. 16 მარტს განხორციელდა დისტანციური ჩართვა დაწესებულებასთან. განრიგის დაცვით მოხდა გასაუბრება დირექტორთან, სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, სასწავლო ნაწილთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, ბიბლიოთეკის და პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან.

ჩართვის დროს განხილული იყო წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
დათვალიერებული იქნა სასწავლო გარემოები, მატერიალური აღჭურვილობა, ბიბლიოთეკა, კოლეჯის ინფრასტრუქტურა. შემოწმებული დოკუმენტების და განხორციელებული ჩართვის საფუძველზე აღნიშნული პროგრამის ავტორიზაციის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტი ექსპერტთა მიერ შეფასდა სრულ შესაბამისობაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

–

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

კომპონენტი 1.2.1.3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების 1.2.1.3. ინდიკატორის მოთხოვნა დარღვეულია, აქედან გამომდინარე 1.2.1 კომპონენტი და შესაბამისად, პირველი სტანდარტი შეფასდა, როგორც „არ შეესაბამება“ სტანდარტს, ვინაიდან აღნიშნული ინდიკატორის მიხედვით სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება ვალდებულია განსაზღვროს განსახორციელებელ აქტივობები და საჭირო რესურსები, ხოლო გადამოწმებისას დადგინდა, რომ კოლეჯის სამოქმედო გეგმაში რესურსები გაწერილია არასრულყოფილად - მოიცავს ინფორმაციას პასუხისმგებელი პირების შესახებ, თუმცა არ არის მითითებული საჭირო მატერიალური და ფინანსური რესურსები, რისთვისაც დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს სამოქმედო გეგმაში სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად თითოეული აქტივობისთვის საჭირო რესურსების გაწერა-**შესრულებულია.** <u>დირექტორის 2020 წლის 16 ოქტომბრის N38/2 ბრძანებით, 2020-2021 წ სამოქმედო გეგმაში შეტანილია ცვლილება დამატებულია ფინანსური მხარდაჭერის გრაფა და განსაზღვრულია სავარაუდო ხარჯები.</u>

კომპონენტი 5.2.1.3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;

დაწესებულებას პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმში რამდენჯერმე აქვს გამოყენებული ტერმინი „პედაგოგი“ პროფესიული განათლების მასწავლებლის ნაცვლად. შესაბამისად, სასურველია კოლეჯმა გამოიყენოს პროფესიული განათლებისთვის შესაბამისი ტერმინები- **შესრულებულია.** <u>საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირელი დებულებები (დამტკ. ბრძ.9/2; 9.02.2021 წ. მუხლი 73.) პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმში გამოყენებულია ტერმინი პროფესიული მასწავლებელი.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VI.გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არა

VII.რეკომენდაციების შეჯამება

განვითარების რეკომენდაცია

კომპონენტი 2.1.1.1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

დაწესებულებას აქვს ორი განსხვავებული მისია, ვებ-გვერდზე განთავსებული და დაწესებულების წესდების მიხედვით. დისტანციური ჩართვის დროს დაწესებულების დირექტორმა განაცხადა, რომ წესდებაში ცვლილებებია შესატანი და გვეხელმძღვანელა მისიით რომელიც განთავსებულია ვებ გვერდზე.

<u>სასურველია დაწესებულებამ დროულად შეიტანოს ცვლილება წესდებაში და შესაბამისობაში მოიყვანოს .</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VII. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	**სკოლამდელი აღზრდა**
პროფესიული განათლების დონე	**მეხუთე**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	**უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციასკოლამდელ აღზრდაში**
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	**0112**
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	**ბრძანება №7/2. 09.02.2021წელი**
პროგრამის განხორციელების ენა	**ქართული**
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	**ქ. თბილისი, დ. ბაქრაძის ქ. №6**
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	**მოდულური**
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	**68** **ქ. თბილისი, დ. ბაქრაძის ქ. №6** **მოდულური**
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან,პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს*(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	**116**
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	**146**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

BDF Education

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებასდაშეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

დაწესებულების 2020-2021 წლის სამოქმედო გეგმის (დამტკ. ბრძ.N9/2; 09.02.2021წ) მე-3 პუნქტით გაწერილია „სკოლამდელი აღზრდის“ პროფესიული პროგრამის დამატება თბილისის მისამართზე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების პროცედურა განსაზღვრულია დაწესებულების „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით“ (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის 09.02.2021 წლის N9/2 ბრძანებით) თავი 12, მუხლი 55; დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „პროგრამის დაგეგმვისას მნიშვნელოვანია პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება, რომ არსებობს პროგრამის სტანდარტი/ჩარჩო დოკუმენტი, არსებობს პროგრამაზე მოთხოვნა, რაც დასტურდება კვლევებით (მათ შორის კოლეჯის მიერ ჩატარებული სოციალური ქსელის საშუალებით), ასევე დამსაქმლებლებთან კომუნიკაციით“, წარმოდგენილია პროგრამის დამატების მიზანშეწონილობის დასაბუთება რომლის თანახმად „პარტნიორებთან კონსულტაციების შემდეგ და აპლიკანტების მომართვიანობის საფუძველზე დავადგინეთ, რომ სკოლამდელი აღზრდის პროგრამის განხორციელება მიზანშეწონილია და შესაბამისად კოლეჯი უზრუნველყოფს აღნიშნული პროგრამის განხორციელებას“. ვინაიდან ჩანაწერი დაწესებულების მარეგულირებელ დოკუმენტში და ასევე მათ მიერ წარმოდგენილი მიზანშეწონილობის დოკუმენტი ძალიან მწირი იყო გასაუბრებაზე დაისვა კითხვა- პარტნიორებთან რა ტიპის კონსულტაციები გაიარეს, რა ტიპის კვლევა ჩატარდა და რით განსაზღვრეს აპლიკანტთა მომართვიანობა. გაირკვა რომ დაწესებულება მანამდე ახორციელებდა „ბაგა-ბაღის აღმზრდელი-პედაგოგის“ საგანმანათლებლო მოდულურ პროგრამას და პრაქტიკის ობიექტებთან უკვე ქონდათ დამყარებული თანამშრომლობითი ურთიერთობა, შესაბამისად სანამ ახალ პარტნიორულ ურთიერთობებეზე გადავიდოდნენ შედგა კონსულტაციები, შესაბამისად გაანალიზდა აპლიკანტთა მომართვიანობაც ძველ პროგრამასთან მიმართებაში.

პროცედურის მიხედვით, პროგრამის დამატების ინიცირება ხდება სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, რის შემდეგაც ორი კვირის ვადაში დირექტორი ბრძანების საფუძველზე ქმნის პროგრამის შემმუშავებელ ჯგუფს, განსაზღვრავს ჯგუფის შემადგენლობას და სამუშაო ვადებს, პროგრამის შემმუშავებელ ჯგუფს ხელმძღვანელობს სწავლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Erase Free

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფში გაერთიანებულია სასწავლო ნაწილის სამსახურის და სხვა სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლები, პროგრამის მოდულების შესაძლო განმახორციელებელი თანამშრომლები, საჭიროების შემთხვევაში, ჯგუფის მოთხოვნის საფუძველზე პროგრამის სრულფასოვნად მომზადების მიზნით დირექტორის მიერ განხორციელდება შესაბამისი სპეციალისტის დამატებით მოწვევა; სამუშაო ჯგუფი შეიმუშავებს საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტის პროექტს და სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი დასამტკიცებლად წარუდგენს დირექტორს. ამავე დოკუმენტითაა განსაზღვრული პოგრამაში ცვლილებების შეტანის და პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტების შემდგომი განათლების მექანიზმი. „პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია საკანონმდებლო ცვლილებების, პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის (პროგრამის შიდა და გარეშეფასების შედეგები), ან სხვა არგუმენტირებული გარემოებების საფუძველზე. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, თავის ინიციატივით, ან კოლეჯში შემოსული კორესპონდენციის (არგუმენტირებული დასაბუთების არსებობისას) საფუძველზე. პროგრამის ცვლილების განხორციელების ეტაპები შემუშავების ეტაპების ანალოგიურად. პროგრამაში/მოდულში ცვლილების შეტანის შემთხვევაში აღნიშნული ცვლილება მტკიცდება დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით, რომლის შესახებ ინფორმაციას აწვდის სსიპ -ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების საფუძველია:

ა) პროფესიული სტანდარტის მოქმედების ვადის ამოწურვა ან გაუქმება; ბ) ოპტიმიზირებულ პროფესიულ პროგრამებზე გადასვლა; გ) დირექტორის გადაწყვეტილება პროგრამის გაუქმების შესახებ. პროფესიული პროგრამის გაუქმების შესახებ, კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და წერილობით აცნობებს სსიპ - ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში შესაბამისი ცვლილების შეტანის თხოვნით. დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, სტუდენტებს საკუთარი სურვილით შეეძლებათ სწავლის გაგრძელება: ა) ამავე დაწესებულებაში, არსებული (იგულისხმება პროგრამის შეცვლამდე არსებული) საგანმანათლებლო პროგრამებით მილევად რეჟიმში; ბ) ამავე დაწესებულებაში, შეცვლილი (მოდიფიცირებული) საგანმანათლებლო პროგრამებით; გ) კოლეჯის შიგნით სხვა პროგრამაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მობილობის განხორციელების გზით; დ) სხვა ანალოგიურ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მობილობის გზით, იმავე ან სხვა ანალოგიური პროგრამებით“.

დაწესებულებას აქვს **ორი განსხვავებული მისია,** ვებ-გვერდზე განთავსებულის თანახმად დაწესებულების მისიაა: **„ჩამოყალიბდეს ხარისხიან განათლებაზე ორიენტირებულ, ფინანსურად ხელმისაწვდომ პროფესიულ სასწავლებლად, რომელიც იხელმძღვანელებს ევროპული დემოკრატიისა და ჰუმანიზმის პრინციპებით და მოამზადებს მაღალი მოქალაქეობრივი თვითშეგნების, უწყვეტი პროფესიული განვითარების შესაძლებლობის მქონე კვალიფიციური სპეციალისტების ახალ თაობებს. არ ჩამორჩეს საქართველოს განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმებს, დანერგოს სწავლების ახალი სტანდარტები და თავსებადი გახადოს ისინი ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან.“** ხოლო დაწესებულების წესდების მიხედვით კი **„საზოგადოების ყველა ნაწილს, სარწმუნოების და პოლიტიკური ნიშნის კუთვნილების მიუხედავად საშუალებას მისცემს, მიიღოს ხარისხიანი განათლება. ჩამოყალიბდეს ცოდნაზე ორიენტირებულ, ფინანსურად ხელმისაწვდომ პროფესიულ სასწავლებლად, რომელიც იხელმძღვანელებს რა დემოკრატიისა დაჰუმანიზმის პრინციპებით, განათლებისა და დასაქმების სფეროში წარმატების მისაღწევად ითანამშრომლებს სტუდენტებთან, პერსონალთან, დამსაქმებლებთან და საზოგადოების ყველა დაინტერესებულ პირთან. მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადების მიზნით, გამოუმუშავოს მათ დამოუკიდებელი აზროვნების, მეცნიერების თანამედროვე მიღწევების გააზრებულად ათვისების და პრაქტიკაში გამოყენების უნარი. სტუდენტებს გამოუმუშავდეს პროფესიული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრის უნარი, კომუნიკაციის უნარ-ჩვევები და მაღალი ეთიკური ნორმები. მოახდინოს პიროვნული პოტენციალის რეალიზაცია, თანამედროვე ლიდერების ჩამოყალიბება, განავითაროს მათი შემოქმედებითი შესაძლებლობები, სიღრმისეული ცოდნის დონით და პრაქტიკაზე ორიენტირებული სპეციალისტის ჩამოყალიბება. რომლებიც მზად იქნებიან თამამად შეხვდნენ აწმყოს გამოწვევებს და თავიანთი პროფესიონალიზმით გაამდიდრონ მომავალი; ნოვატორული აზროვნების, კრიტიკულ სიტუაციებში ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღების უნარისა და მაღალი მოქალაქეობრივი თვითშეგნების მქონე სპეციალისტთა ახალი თაობების მომზადება; ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადვილად ადაპტირებადი სპეციალისტი, რომელიც იქნება მაღალი აქტივობის, ჰუმანიზმის, დემოკრატიის, ლიბერალური ღირებულების პრინციპების მატარებელი თავისუფალი პიროვნება.“**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
დისტანციური ჩართვის დროს დაწესებულების დირექტორმა განაცხადა, რომ წესდებაში ცვლილებებია შესატანი და გვეხელმძღვანელა მისიით რომელიც განთავსებულია ვებ გვერდზე.

<u>სასურველია დაწესებულებამ დროულად შეიტანოს ცვლილება წესდებაში და შესაბამისობაში მოიყვანოს.</u>

პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილ „სკოლამდელი აღზრდის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია და ითვალისწინებს სრულ ზოგად განათლებას.

სტუდენტების ჩარიცხვასთან დაკავშირებული სხვა პროცედურები გაწერილია დაწესებულების „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ დებულებაში“ თავი 13, სადაც განსაზღვრულია: პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, აღდგენის, შეწყვეტის და მობილობის წესები;

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

დაწესებულების „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების“ მუხლი 55. პ.5. გაწერილია სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დასაბუთება, რომელიც ითვალისწინებს „პროგრამის სპეციფიკას და დაწესებულების რესურსებს“, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დროს დაწესებულება ითვალისწინებს შემდეგ გარემოებებს:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

„ა) პროგრამისთვის გათვალისწინებული A, B, C (პროგრამის მოთხოვნების მიხედვით აღჭურვილი) გარემოს ფართი უნდა უზრუნველყოფდეს სტუდენტების შესაბამისი რაოდენობის განთავსებას.

ბ) შესაძლებელია ერთიან ორცვლიანი სასწავლო პროცესის განხორციელება.

გ) კოლეჯის კომპიუტერული კლასი/ლაბორატორია უნდა უზრუნველყოფდეს ყველა პროგრამის სტუდენტებისათვის მეცადინეობების ჩატარებას.

დ) პარტნიორ ორგანიზაციასთან ხელშეკრულებით უნდა იყოს უზრუნველყოფილი საწარმოო პრაქტიკის განხორციელების შესაძლებლობა“.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი “სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის“ და „მოდულის მიხედვით აუდიტორიების განაწილების“ ცხრილის თანახმად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სკოლამდელი აღზრდა“ დაწესებულება ითხოვს 68 პროფესიული სტუდენტის მიღებას ორი ცვლის გათვალისწინებით, ორ წელზე.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

კოლეჯის მიერ წარმოდგენილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადს თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალი და სასწავლო რესურსი, რომელიც წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ მოდულში. **აღნიშნული რესურსი გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამით და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.**

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

საგანმანათლებლო პროგრამას არჩევითი მოდულები არ გააჩნია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება განსაზღვრულია დაწესებულების „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით“, თავი 12 , მუხლი 55 პუნქტი 9;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლამდელი აღზრდა“ დამტკიცებულია დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის, კოლეჯის დირექტორის. მიერ 2021 წლის 09 თებერვლის #7/2 ბრძანებით.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

პროგრამის დასახელება შეესაბამება პროგრამის შინაარსს. დაწესებულების მიერ შემუშავებული პროგრამის სახელწოდებაა „სკოლამდელი აღზრდა“, იგი არ არის შეცდომაში შემყვანი ვინაიდან შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული სკოლამდელი აღზრდის პროფესიასთან. პროგრამის სწავლის შედეგებია: 1. ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვის ჰოლისტური განვითარება, მათი ასაკობრივი თავისებურებების, ინტერესების, ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით; 2. მრავალფეროვანი, მასტიმულირებელი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის დაგეგმვა და მართვა; 3. ბავშვის განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიების გამოყენება; 4. წარმატებული,უსაფრთხო,მხარდამჭერი სააღმზრდელო გარემოს შექმნა;

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მომზადებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 12 დეკემბრის N192/ნ ბრძანებით დამტკიცებული “აღმზრდელის” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, მიზნები, სწავლის შედეგები, სწავლებისა და სწავლის მეთოდები, სწავლის შედეგად მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობანი; სტრუქტურა და მოდულები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 116 კრედიტია, აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 11 (3 მოდული), პროფესიული/დარგობრივი მოდულების 105 კრედიტი (24 მოდული) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 146 კრედიტია.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს საზოგადოებრივი კოლეჯის „კავკასიონი “ საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება (დამტკ.ბრძ.9/2; 9.02.2021 წ.);
- დაწესებულების წესდებით;
- საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების აქტი. დირექტორის ბრძ. N7/2; 09.02 2021 წ.
- საგანმანათლებლო პროგრამა, მოდულები და სასწავლო გეგმა;
- პრაქტიკის ობიექტებთან დადებული ხელშეკრულებები N57 და N58.
- 2020-2021 წ. სამოქმედო ერთწლიანი გეგმა;
- 2020-2027 წ. სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- პროფესიული სტანდარტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

➢ გასაუბრების შედეგები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1.პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

დაწესებულებას გააჩნია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული A და B გარემო.
ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტების მიერ დისტანციურად მოხდა აღნიშნული აუდიტორიების დათვალიერება, დადგინდა, რომ დაწესებულებას აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს:
ერთი A გარემო, N7 აუდიტორია, რომელიც აღჭურვილია საჭირო რესურსით 34 პროფესიულ სტუდენტზე. კერძოდ დაწესებულებას მფლობელობაში აქვს მაგიდა და სკამი 34 პროფესიულ სტუდენტზე, 1 კომპიუტერი, 1დაფა, 1 პროექტორი, 1 კომბაინი, 1 ფლიპჩარტი და პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა, სკამი). აღნიშნულ პროგრამაზე კოლეჯს სურს 68 სტუდენტის დამატება (ორ წელზე ორი ცვლის გათვალისწინებით).
ორი B გარემო რომელიც აღჭურვილია საჭირო რესურსით 17 პროფესიულ სტუდენტზე, დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით აღნიშნულ გარემოში პროფესიული სტუდენტები გაიყოფიან 2 ჯგუფად, ვინაიდან B გარემოში ტარდება მხოლოდ ერთი მოდული აღნიშნულის განხორციელების დაგეგმვა არ წარომადგენს პრობლემას.
დაწესებულებას პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები ქ. თბილისის საბავშვო ბაგა–ბაღებთანა(ა)იპ N73–ე (ხელშ. N57; 15.09.20წ.) და „ხუთკუნჭულა“(ხელშ.N58; 15.09.20წ). ხელშეკრულებები გაფორმებულია 3 (სამი) წლის ვადით.
ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი პროგრამის განსახორციელებელი მატერიალური რესურსის შესყიდვის დოკუმენტაცია.
დაწესებულების მატერიალური რესუსი და პრაქტიკის ობიექტების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი შესაძლებლობას იძლევა დაწესებულებამ უზრუნველყოს სწავლის შედეგების მიღწევა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა“ განხორციელების მიზნით, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს 10 პროფესიული მასწავლებელი, აქედან 5 ზოგადი და 5 პროფესიული მოდულების განმახორციელებელი. პროფესიული მასწავლებლების დატვირთვა არ აღემატება კვირეულ 40 საათს და გარდა სალექციო კურსის წარმართვისა მოიცავს კალენდარული გეგმის და შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებას, საკონსულტაციო დროს, კოლეჯის მართვაში მონაწილეობას.

პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

დაწესებულების „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების“ თავი XIV; მუხლი 68 და მუხლი 69. განსაზღვრულია პროფესიული მასწავლებლების მიღების წესი და პირობებისადაც განსაზღვრულია მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. „ა) მოსამზადებელი მოდულის შესაბამისი პირდაპირი კვალიფიკაცია. ბ) შესაბამისი პროფილით პრაქტიკული მოღვაწეობის მინიმუმ 3 წლის სტაჟი“.

პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეების გადამოწმებით დადგინდა, რომ პროფესიული მასწავლებლები აკმაყოფილებენ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. პროფესიულ მასწავლებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია პროფესიული მასწავლებლის მოვალეობები.

აღსანიშნავია რომ „სკოლამდელი არზრდის“ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია იგივე პერსონალი, რომლებიც ახორციელებდნენ „ბაგა-ბაღის აღმზრდელი-პედაგოგის“ საგანმანათლებლო პროგრამას და გააჩნიათ მოდულური სწავლების და შეფასების განხორციელების გამოცდილება, პროგრამის განმახორციელებელ პირთა პირადი საქმეებით, მათი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

გამოცდილებით და გასაუბრების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე პროფესიული მასწავლებლებით.

პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

დაწესებულების "საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგურილებელი დებულებით" (თავი XII; მუხლი 55), პროგრამის ხელმძღვანელს საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებასთან ერთად ნიშნავს დირექტორი აქვეა გაწერილია პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია მოვალეობები; პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობები და სხვა აქტივობები როგორიცაა: სასწავლო პროგრამისა და სასწავლო გეგმის შემუშავებაში მონაწილეობა; მოდულების შემუშავება/ცვლილებაში მონაწილეობა; კალენდარული გეგმების შედგენა; შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებაში კოორდინირება და მათი ვერიფიკაციის პროცესში მონაწილეობა; პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსის და მასალის მონიტორინგი დანაკლისის შევსების მიზნით; პრაქტიკის ბაზების შერჩევა და ხელშკრულების მომზადება, პრაქტიკაზე სტუდენთა დასწრების კოორდინირება/მონიტორინგი; პროგრამის კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა; სხვადასხვა სამუშაო ჯგუფების თუ მართვის კოლეგიალური ორგანოების მუშაობაში მონაწილეობა; პროგრამის განმახორციელებლების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის სხვადასხვა ტრენინგების, შეხვედრების და სხვა ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება.
პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებისა და მის პირად საქმეში არსებული დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილს.

<u>საგანმანათლებლო პროგრამას ყავს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ექსპერტების მიერ, მოდულებში მითითებული სასწავლო ლიტერატურიდან შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა სახელმძღვანელოები. საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით, ან ელექტრონული (რაც ასევე გაწერილია მოდულებში); ელექტრონული სახით სასწავლო რესურსი ჩატვირთულია კოლეჯის ყველა კომპიუტერში და ასევე ბიბლიოთეკაში დისკების სახით. ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე.

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

დაწესებულებაში არსებობს მზაობა რათა სსსმ პირებს ქონდეთ წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირდება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მოდულის მოდიფიკაცია, ასევე აკომოდაცია. სსსმ პირებისათვის ინდივიდუალური გეგმის შედგენის პროცედურა და სპეციალურ საჭიროებებზე მისადაგებული კოლეჯის სივრცისა და სერვისების შეთავაზება გაწერილია დაწესებულების „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებაში“ თავი 12, მუხლი 56; „შშმპ-მა/მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა ან სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტმა ინდივიდუალური გეგმის შედგენის მოთხოვნით უნდა მიმართოს სასწავლო ნაწილს. მოთხოვნის საფუძველზე, სასწავლო ნაწილის სამსახური ქმნის კომისიას, სტუდენტის (არასრულწლოვანის შემთხვევაში კანონიერი წარმომადგენლის დასწრებით), პროგრამის ხელმძღვანელის და მოდულის/ების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

განმახორციელებელის შემადგენლობით, რომელიც მოცემული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოდულის/ების სწავლის შედეგების საათების და წინაპირობების გათვალისწინებით შეიმუშავებს შედეგების გონივრულ ვადაში მისაღწევად საჭირო ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტს, რომელსაც ხელს აწერს შემუშავებაში მონაწილე ყველა მხარე. სასწავლო ნაწილი კომისიის გადაწყვეტილებას - ოქმს და ინდივიდუალურ გეგმის პროექტს სამსახურეობრივი ბარათის სახით დასამტკიცებლად წარუდგენს დირექტორს“.

დისტანციურად დათვალიერებით დადგინდა, რომ დაწესებულება ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად: მას აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის ადაპტირებული გარემო. პანდუსი შენობის მთავარ შესასვლელში, ლიფტი და სველი წერტილები.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დაწესებულებამ განაცხადით წარმოადგინა პროგრამის განხორციელების საპროგნოზო ბიუჯეტი. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის „სკოლამდელი აღზრდა“ შედგენილია საპროგნოზო ბიუჯეტის ფორმა, რომელიც შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან, საპროგნოზო ბიუჯეტი შედგენილია სტუდენტთა იმ მინიმალური რაოდენობის გათვალისწინებით, რომლის შემთხვევაშიც შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას. საპროგნოზო ბიუჯეტით რენტაბელობის ზღვარია 19 პროფესიული სტუდენტი;

შემოსავლების ნაწილი შედგება სწავლის გადასახადისა და საორგანიზაციო მოსაკრებლისგან; ხოლო ხარჯვითი ნაწილი მოიაზრებს ძირითად და პროგრამულ ხარჯს რომლებშიც შედის: ადმინისტრაციის და პროფესიული მასწავლებლების ხელფასი, სამეუნეო, საკანცელარიო, კომუნალური, სარეკლამო, მივლინების, სტუდენტების კულტურული ცხოვრების ხელშეწყობის, პროფესიული მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის განვითარების, კოლეჯის განვითარების, მასწავლებლის და სტუდენტების წახალისების, სასწავლო პროცესის მასალების და სხვა ხარჯები, ასევე იჯარა და ქონების გადასახადი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით;
- პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ კოლეჯის მიერ შევსებული ფორმით;
- პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ კოლეჯის მიერ შევსებული ფორმით;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტით;
- ბიბლიოთეკის შემოწმებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- გასაუბრების შედეგებით

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.3. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

დაწესებულებას „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით“ შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად და ეფუძნება შემდეგ ქმედებებს:

„მონაცემების შეგროვება - პროგრამის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა დაგარე მექანიზმების გამოყენებით: დარგში მიმდინარე ცვლილებების შესწავლა/პროგრამის შეფასება პირდაპირი (პროფესიულ სტუდენტთა შედეგების მიღწევის შესწავლა, სწავლის შედეგების შეფასება). **მონაცემების დამუშავება** - მიღებული ინფორმაციის, გამოკითხვისა და შეფასების შედეგების ანალიზი; **გასაუმჯობესებელი მხარეების გამოყოფა** - ანალიზის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამაში გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი მხარეების განხილვა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების და სხვა პირების მიერ; საგანმანათლებლო **პროგრამის განვითარების მიზნით რეკომენდაციების შემუშავება** და ცვლილებების დაგეგმვა.

კოლეჯში სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელობით შექმნილია შიდა მონიტორინგის ჯგუფი. ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ სასწავლო ნაწილის სამსახური, ადმინისტრაციის სხვა თანამშრომელი და პედაგოგები. შიდა მონიტორინგის მიერ შეფასება ხორციელდება დირექტორის მიერ დამტკიცებული სპეციალური ოქმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მიხედვით. სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დამოუკიდებლად ყოველი თვის დასაწყისში გეგმავს მინიმუმ თვეში ორჯერ თითოეულ პროგრამაზე დასწრებას, განსაზღვრავს პედაგოგს, დისციპლინასა და დასწრების თარიღს. მონიტორინგის ჯგუფი ადგენს ოქმს და გადასცემს საქმისწარმოების სამსახურს. სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წელწადში (იანვარში და ივლისში) ორჯერ წარუდგენს ანგარიშს დირექტორს.
დაწესებულებას პროგრამის შეფასების მიზნით შემუშავებული აქვს სტუდენტის, პროფესიული მასწავლებლის, კურსდამთავრებულის და დამსაქმებელთა გამოკითხვებისთვის ელექტრონული კითხვარები, რომლებიც განთავსებულია კოლეჯის ვებ-გვერდზე.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დაწესებულების „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების“ მუხლი 55. „პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია საკანონმდებლო ცვლილებების, პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის (პროგრამის შიდა და გარეშეფასების შედეგები), ან სხვა არგუმენტირებული გარემოებების საფუძველზე. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, თავის ინიციატივით, ან კოლეჯში შემოსული კორესპონდენციის(არგუმენტირებული დასაბუთების არსებობისას) საფუძველზე. პროგრამის ცვლილების განხორციელების ეტაპები მიმდინარეობს შემუშავების ეტაპების ანალოგიურად. პროგრამაში/მოდულში ცვლილების შეტანის შემთხვევაში აღნიშნული ცვლილება მტკიცდება დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით, რომლის შესახებ ინფორმაციას აწვდის სსიპ -ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით;
- ვებ-გვერდზე განთავსებული გამოკითხის კითხვარებით.
- გასაუბრებით სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;**

პროგრამას დანართის სახით თან ერთვის სასწავლო გეგმა რომლის მიხედვითაც ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ორგანიზება და რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, მოდულის საკონტაქტო დამოუკიდებელი საათების და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით. სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს. სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამების თანმიმდევრულ განხორციელებას; პროფესიულ სტუდენტებს აქვთ ვადები თითქმის ყველა მოდულის გადაბარებასთან დაკავშირებით, გამონაკლისი იყო მოდული „თანამედროვე გამოწვევები ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში“ რომელიც იწყებოდა 23 კვირას, ხოლო მოდული „ადრეული განათლების კურიკულუმები“ რომელიც წარმოადგენს ამ მოდულის წინაპირობას სრულდებოდა 22 კვირას, შესაბამისად არ იყო გათვალისწინებული მოდულის გადაბარების ვადა.
დისტანციური ჩართვის შემდეგ დაწესებულებამ გადმოაგზავნა 2021 წლის 16 მარტის ბრძ. N15/2-ით შეცვლილი სასწავლო გეგმა, სადაც აღნიშნული გათვალისწინებული და ჩასწორებული იქნა.

2. **პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;**

დაწესებულებას „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების“ მუხლი 5-ით განსაზღვრული აქვს შიდა მონიტორინგის ჯუფის ფუნქციები რომლის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს სასწავლო პროცესის მონიტორინგი, რომლის პროცესშიც და პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით ხდება სასწავლო გეგმის და პროცესის ცვლილება.
კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირების შემხვედრ საჭიროებებზე, რის მაგალითადაც შეიძლება განიხილოს თუნდაც დისტანციური სწავლების დაგეგმვა და სასწავლო გეგმების ცვლილება დისტანციურ სწავლებასთან მოსარგებად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

სასწავლო პროცესში თანამედროვე მეთოდების გათვალისწინებით გამოიყენება სწავლების შესაბამისი ტექნოლოგიები, რომელიც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.
სასწავლო აუდიტორია აღჭურვილია სწავლებისათვის საჭირო თანამედროვე ტექნიკითა და რესურსით, რაც უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობას.
დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით სასწავლო პროცესში გამოიყენება სწავლების თანამედროვე მეთოდები (ვორქშოპი,პრეზენტაცია და სხვ.) და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიები.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
დაწესებულებას „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების“ მუხლი 56-ით გაწერილი აქვს „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მეთოდოლოგია“, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ითვალისწინებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებას. მეთოდოლოგია ითვალისწინებს ინდივიდუალური გეგმის მორგებას როგორც სსსმ პირებზე, ისე მობილობით გადმოსული და სტატუს აღდგენილი პროფესიული სტუდენტისთვის;

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლამდელი აღზრდა“ ითვალისწინებს ორი პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულის სწავლებას. ესენია „გაცნობითი პრაქტიკა სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ და „პრაქტიკული პროექტი – სკოლამდელი აღზრდა და განათლება“. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ხელშეკრულებები ქ. თბილისის საბავშვო ბაგა–ბაღებთანა(ა)იპ N73–ე (ხელშ. N57; 15.09.20წ.) და „ხუთკუნჭულა“(ხელშ.N58; 15.09.20წ). ხელშეკრულება მიზნად ისახავს, საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფის საკითხებში თანამშრომლობას. პარტნიორი ორგანიზაციები ვალდებულებას იღებენ უზრუნველყონ კოლეჯის 17–17 – ი პროფესიული სტუდენტი პრაქტიკის ობიექტით, რომელთაც უხელმძღვანელებს კოლეჯის მიერ გამოყოფილი შესაბამისი პირი. ხელშეკრულებები გაფორმებულია 3 (სამი) წლის ვადით.

პრაქტიკის ობიექტის ხელმძღვანელთან გასაუბრებიდან დადგინდა, რომ ობიექტი მზადაა მიიღოს 17 პროფესიული სტუდენტი, რომლებიც მონაცვლეობით გადანაწილდებიან ბაგა–ბაღის სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში.

პარტნიორი ორგანიზაცია დაკომპლექტებულია კვალიფიციური კადრით, სტუდენტებს საშუალება ექნებათ გაეცნონ ბაგა–ბაღის შინაგანაწესს, დააკვირდნენ სასწავლო სააღმზრდელო პროცესს და პრაქტიკულ უნარებზე დაყდრნობით განიმტკიცონ თეორიული ცოდნა. დაწესებულების ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სტუდენტებს პრაქტიკის პერიოდში მეთვალყურეობას გაუწევს ბაგა–ბაღის ექთანი, საქმისმწარმოებელი აღრიცხავს მათ დასწრებას, ხოლო თავად ხელმძღვანელი გააცნობს მათ ბაგა–ბაღში არსებულ წესებს და ასევე მონაწილეობას მიიღებს მათ შეფასებაში.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დაწესებულების „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების“ (თავი VIII) შესაბამისად სასწავლო პროცესის მიმდინარეობის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს ქონების, მატერიალური რესურსების მართვის, დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური, რომლის შემადგენლობაშიც შედის სამსახურის უფროსი, მოადგილე, ექიმი/ექთანი. სამსახურის ძირითად ფუნქციებში შედის დახმარება გაუწიოს შეზღუდული შესაძლებლობის პირებს კოლეჯის ტერიტორიაზე გადაადგილებისას. რეგულარულად აწარმოოს წესრიგის, უსაფრთხოების პირობების დარღვევის და პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის რეგისტრაციის ჟურნალი. იზრუნოს კოლეჯის შენობების, სტუდენტებისა და თანამშრომლების უსაფრთხოებაზე; არ დაუშვას შენობებში უცხო პირთა უსაქმოდ ყოფნა; რეგულარულად გააკონტროლოს ცეცხლმაქრების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ვარგისიანობა (წნევის ვარდნა). დაწესებულების ტერიტორიაზე კოლეჯის საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვის უზრუნველსაყოფად გამოიყენება ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემა.

დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმებად გამოყენებულია დაცვის თანამშრომელი, ვიდეოკამერები ეზოსა და ყველა სართულზე; თვალსაჩინო ადგილზე განთავსებული ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი; ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილზე გამოკრული ევაკუაციის გეგმა და ევაკუაციის პროცედურები, რომლის თანახმადაც ხორციელდება შენობის უსაფრთხო დატოვება; დაწესებულებაში ფუნქციონირებს საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბი;

კოლეჯში პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით შესაბამისი ინვენტარით მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი და გაწერილია ქცევის წესები. ექიმი/ექთანი ვალდებულია მკაცრად აწარმოოს შეძენილი წამლების ვარგისიანობის ვადის კონტროლი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლო პროგრამით;
- „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით“
- ხელშეკრულებებით პრაქტიკის ობიექტებთან;
- დათვალიერებით;
- გასაუბრებით დაწესებულების წარმომადგენლებთან;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

დაწესებულების „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით“ (თავი XII; მუხლი 58; პ.9) გაწერილია „სტუდენტთა მიღწევების შეფასების სისტემა. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება“ და ითვალისწინებს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას. „შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის პროცესში მონაწილეობს სასწავლო ნაწილის სამსახური და პროგრამის ხელმძღვანელი, რომელიც თანამშრომლობს შეფასების ინსტრუმენტის შექმნის პროცესში პროფესიულ მასწავლებელთან. პროფესიული მასწავლებელი შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტს შესათანხმებლად წარუდგენს კოლეჯის სასწავლო ნაწილის სამსახურს წერილობითი ფორმით ან/და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. კოლეჯის სასწავლო ნაწილის სამსახური 1 დღის ვადაში განიხილავს წარდგენილ შეფასების ინსტრუმენტების ფორმას და პროფესიულ მასწავლებელს აძლევს შესაბამის რეკომენდაციებს წერილობითი ან/და ზეპირ სიტყვიერი ფორმით. პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა ეფუძნება ვალიდურობას, სანდოობას, გამჭირვალობასა და სამართლიანობას.

სტუდენტს უფლება აქვს შედეგის დადასტურებისთვის დამატებით გამოცდაზე გავიდეს მხოლოდ ორჯერ. ასევე აქვს აპელაციის უფლება - შეფასების ინსტრუმენტის განხილვის შემდეგ, თუ პროფესიული მასწავლებელი არ შეცვლის შეფასებას, სტუდენტს უფლება აქვს საჩივრით მიმართოს კოლეჯის დირექტორს, რომელიც საჩივრის განხილვის მიზნით სასწავლო ნაწილის წარდგინებით ქმნის სააპელაციო კომისიას. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია სტუდენტის შეფასება შეცვალოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

(მაგრამ არა საუარესოდ) ან დატოვოს ძალაში. აღნიშნული გადაწყვეტილება ფორმდება შესაბამისი ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის წევრები. პრეტენზიის დაკმაყოფილების შემთხვევაში, კომისიის ხელმძღვანელი დირექტორის სახელზე წარადგენს მოხსენებით ბარათს გამოცდის შედეგის შეცვლის/დატოვების თაობაზე.

2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

დაწესებულების „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით“ (თავი XII; მუხლი 58) გაწერილია „სტუდენტთა მიღწევების შეფასების სისტემა. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება“ და ითვალისწინებს შეფასების ინსტრუმეტის ვერიფიკაციას. ვერიფიკაცია ხორციელდება სამი მიმართულებით: შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია, მტკიცებულებების ვერიფიკაცია და ეფუძნება ვალიდურობას, სანდოობას, გამჭირვალობას, სამართლიანობას, ობიექტურობას. ვერიფიკაციას ატარებს ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელიც იქმნება დირექტორის ბრძანებით, ჯგუფში შესაძლებელია შევიდნენ პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული მასწავლებელი, მოწვეული პირი, რომელიც არ მოდის ინტერესთა კონფლიქტში. ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობაში არ უნდა შევიდეს ის პირი, რომელმაც შესაფასებელი შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში მიიღო მონაწილეობა. ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელია სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, იგი უფლებამოსილია თვითონ განახორციელოს ვერიფიკაციის ის ნაწილი, რომელიც არმოითხოვს დარგის კომპეტენციას.

სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, განსაზღვრავს კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/ პროგრამების სწავლის შედეგების ვერიფიცირების პერიოდს, რისკ ფაქტორების გათვალისწინებით. რისკ ფაქტორთა ჯგუფს მიეკუთვნება: დამწყები პროფესიული მასწავლებლი, პროფესიული მასწავლებლის შერჩევითი პრინციპით შემოწმება (მუდმივად ფორმაში ყოფნის მიზნით), პრაქტიკული დავალებების სიმრავლე, ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობა, შესაფასებელი პირების დაბალი შეფასებები, ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ რისკ ფაქტორად მიჩნეული სხვა საკითხი. შემოწმებისათვის შემთხვევითობის პრინციპით შეირჩევა ჯგუფში არსებული სტუდენტების 50%. იმ შემთხვევაში თუ პრობლემატური აღმოჩნდება შესაფასებელი ინსტრუმენტები და გამოიკვეთება დარღვევები, შესაძლოა საჭირო გახდეს მთელი ჯგუფის ინსტრუმენტების შემოწმება, რასაც თვითონ წყვეტს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ვერიფიკაციის ჯგუფი ხმათა უმრავლესობით. ვერიფიკაციის ჯგუფი დებს დასკვნას რომრლიც უნდა იყოს სრულყოფილი. დასკვნაში ნათლად უნდა იკვეთებოდეს, თუ რამდენად იყო/არ იყო პროფესიული სტუდენტების შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭირვალე, სამართლიანი და ობიექტური. ვერიფიკაციის დასკვნაში იდენტიფიცირებული უნდა იყოს ყველა პრობლემური საკითხი. ვერიფიკაციის დასკვნის დოკუმენტის შემუშავების შემდეგ ხდება დასკვნის განხილვა დაინტერესებულ მხარეებთნ.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

დაწესებულების „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების“ (თავი XII; მუხლი 59, პ.13,14,15) თანახმად სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტი წარმოადგენს შეფასების მტკიცებულებას და უნდა ინახებოდეს დაწესებულებაში. პროდუქტი, რომელიც არსებობს დოკუმენტაციის სახით (ტესტები, პროექტები, მოდულური პროგრამის განმახორციელებელი პირის დაკვირვების ფორმები და სხვა) ინახება შექმნიდან არანაკლებ 5 წლის განმავლობაში, რის შემდეგაც ნადგურდება დადგენილი წესით ან გადაეცემა ბიბლიოთეკას საგანმანათლებლო მიზნებისათვის; პროდუქტი, რომელიც წარმოდგენილია ელექტრონული სახით უნდა ჩაიწეროს ინფორმაციის ციფრულ მატარებელზე და ინახება შექმნიდან არანაკლებ 5 წლის განმავლობაში, რის შემდეგაც ნადგურდება დადგენილი წესით ან რჩება დაწესებულებას საგანმანათლებლო მიზნებისათვის.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. დაწესებულების „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების“ (თავი XII; მუხლი 55, პ.19) თანახმად პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის (პროგრამის შიდა და გარე შეფასების შედეგები), ან სხვა არგუმენტირებული გარემოებების საფუძველზე შესაძლებელია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Erase Free

ცვლილება დადგენილი პროცედურის შესაბამისად. სასწავლო პროცესში გამოიყენება პროფესიულ სტუდენტთა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები, რომელთა მიზანია სტუდენტთა შემდგომი განვითარება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით“

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამაზე პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	-
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან,პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითიმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-

დასაბუთება

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი.

5.04.2021
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: